

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 218-16

ქ.თბილისი

26 დეკემბერი 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში «შემსყიდველი»). მდებარე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6

და

მეორეს მხრივ სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურს“ (შემდგომში «მიმწოდებელი») შორის. მდებარე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 16

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2. „შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ - „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

3. „მიმწოდებელი“ - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

6. „სისტემა“ - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა „eDocument“;

7. „ხარვეზი“ - პროგრამული ან მონაცემთა ბაზის გაუმართაობა, რომელიც გამოწვეულია პროგრამული კოდის ან ბაზის სტრუქტურული ნაკლით და არ არის დაკავშირებული IT ინფრასტრუქტურის პრობლემასთან ან სისტემური ადმინისტრირების არასწორ/არასრულ განხორციელებასთან.

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სისტემის განვითარების, მხარდაჭერის, ტექნიკური მომსახურების, მიმწოდებლის სერვერზე განთავსებისა და მისი ადმინისტრირების მომსახურების შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად (CPV72260000) შემსყიდველის არაუმეტეს 420 (ოთხას ოცი) მომხმარებლისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N297 განკარგულების საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **20998.45 (ოცი ათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 45 თეთრი)** ლარს, რომელიც მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს;

2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

ბ) განახორციელოს სატელეფონო კონსულტაციის გაწევა ცხელი ხაზის მეშვეობით, ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს დანართი N1-ით გათვალისწინებული ტრენინგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელება, რაზედაც მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე; აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა;

ე) გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებაში, ასევე უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარებისთვის შესაბამისი ადგილისა და თანამშრომლების გამოყოფა;

გ) მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომხმარებლების ზღვრული ოდენობა და მიმწოდებელთან შესაბამისი შეთანხმების გარეშე, არ დაუშვას სისტემაში ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ მომხმარებლებზე მეტი მომხმარებლების ჩართვა.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებითი შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწყესიერობაზე.

4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოონ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელ. ფოსტა: 1551@mof.ge, შემსყიდველის ელ. ფოსტა: g.kilasonia@ag.ge) მეშვეობით.

5. მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

გაწეული მომსახურების მიღება იწარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს: საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მ/შ ილია ქშუტაშვილი ან/და კანცელარიის ჯგუფის უფროსი ეკატერინე თავდგირიძე;

2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. მომსახურების გაწევის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (არსებობის შემთხვევაში) და დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებს.

9. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;
2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;
3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 (ხუთი) დღით ადრე;

3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას;

გ) მხარეთა შეათამხმებით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოავარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 თებერვლამდე;

2. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, რომლის ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს მელიორაცია“

ლევან დვალი
გენერალური დირექტორი

საბანკო რეკვიზიტები: ს/კ: 204524568
ს/ს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG000000182323100



მიმწოდებელი:

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

გიორგი ბაბაკიშვილი
სამსახურის უფროსის მოადგილე

საბანკო რეკვიზიტები: ს/კ: 204577813
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707907143



სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, განთავსება მიმწოდებლის სერვერზე და მისი ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

მხარდაჭერა

1. სამომხმარებლო დოკუმენტაცია;
2. სატელეფონო კონსულტაციები სამუშაო დღეებში 09.00 სთ-დან - 18.00 სთ-მდე, ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 1551);
3. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ტრენინგებისათვის, შესაძლებელია განხორციელდეს 2 (ორი) ტრენინგი, მ.შ დისტანციური სწავლება.

განახლება

1. ახალი ვერსიის გამოშვების შემთხვევაში დანერგილი სისტემის განახლება;
2. საჭიროების შემთხვევაში, სიახლეებთან დაკავშირებული ტრენინგი ტრენინგებისთვის.

სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე, სისტემის ადმინისტრირება:

1. სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე;
2. სარეზერვო კოპირება;
3. დატვირთვის ბალანსირება;
4. სისტემის, ქსელური და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

შენიშვნა:

1 (ერთი) ტრენინგი (ერთჯერ) ნიშნავს - ერთდროულად მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) „შემსყიდველის“, თანამშრომლის ტრენინგს (მეცადინეობას) 2 (ორი) საათის განმავლობაში.

შემსყიდველი:



მიმწოდებელი:



მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების გაწევის პერიოდი	მომხმარებლების მაქსიმალური რაოდენობა	ერთი დღის მომსახურების ღირებულება (ლარი)	მომსახურების საერთო ღირებულება (ლარი)
1	სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, განთავსება მიმწოდებლის სერვერზე და მისი ადმინისტრირება.	01.01.2017 – 31.12.2017	420	57.53	20998.45

შემსყიდველი:

 

მიმწოდებელი:

 